

წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა და
სიტყვათა რიგი არაბულში
THE INFORMATION STRUCTURE AND WORD ORDER IN
ARABIC

რუსუდან ასათიანი
Rusudan Asatiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სიტყვათა რიგის ტიპოლოგია, არაბულის
მორფოსინტაქსი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა,
კოგნიტიური ინტერპრეტაცია

Keywords: Word Order Typology, Arabic Morphosyntax, Information
Structure, Markedness, Cognitive Interpretation

არაბულში სიტყვათა ძირითადი, არამარკირებული რიგია SVO, თუმცა ისევე, როგორც ყველა სხვა ენაში, სადაც მეტ-ნაკლებად განვითარებულია სახელთა მორფოლოგია და გამოიყოფა განსხვავებული ბრუნვები, არაბულშიც შესაძლებელია ამ არამარკირებული რიგის ცვლა: თითქმის ყოველი თეორიულად დასაშვები კომბინაცია ძირითადი სინტაქსური ფუნქციების რიგის ცვლისა დასტურდება არაბულის წერილობით თუ ზეპირმეტყველებით ტექსტებში.

თანამედროვე თეორიული მიდგომით ინფორმაციულად ნეიტრალური, არამარკირებული კონსტრუქციის ყოველი ასეთი ვარიაცია უკავშირდება წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ცვლას და გულისხმობს საინფორმაციო ნაკადში რომელიმე წევრის პრაგმატიკულ გამოკვეთას, ხაზგასმას, თვალთახედვის ცენტრში მოქცევას, ანუ ფართო გაგებით – დაწინაურებას. ასეთ გადაადგილებებს თან სდევს გარკვეული მორფოსინტაქსური ცვლილებები და არაბულშიც მისთვის დამახასიათებელი კანონიკური ნომინატიური კონსტრუქციის პარალელურად ჩნდება ე.წ. არაკანონიკური კონსტრუქციები, სადაც სუბიექტი ნომინატივის ნაცვლად აკუზატივშია, პირდაბირი ობიექტი კი, პირიქით, აკუზატივის ნაცვლად სახელობითი ბრუნვითაა გაფორმებული.

მაგალითად:

(1) kataba rağulun risālatan.

დანერა კაც-+NOM წერილ-+ACC

კაცმა წერილი დანერა.

(2) 'inna rağulan kataba risālatan.

PTC(ჭეშმარიტად) კაც-+ACC დანერა წერილ-+ACC

ჭეშმარიტად კაცმა, დანერა წერილი.

(3) risālatun kataba-ha rağulun.

წერილ-+NOM დანერა-ის კაც-+NOM

წერილი, კაცმა-ის დანერა.

პირველი წინადადება, რომელიც არაბულის სიტყვათა არამარკირებულ რიგს გამოხატავს, ინფორმაციული თვალსაზრისით ნეიტრალურია მაშინ, როცა მე-(2) წინადადება სუბიექტის, ხოლო მე-(3) ობიექტის საინფორმაციო ნაკადში დაწინაურების შემთხვევებს ასახავს.

სუბიექტის ან ობიექტის დაწინაურებისას სახელთა ფუნქციური დაპირისპირება ბრუნვათა მიხედვით ფაქტიურად მოხსნილია და შედეგად ბრუნვათა მიხედვით არადიფერენცირებული სტრუქტურები წარმოიქმნება: S-ის დაწინაურებისას S და O, ორივე, წარმოდგენილია ბრალდებითში; O-ის დაწინაურების დროს კი ორივე, S და O, წამოდგენილია სახელობითში. ბრუნვათა მიხედვით არადიფერენცირებული ეს მოდელები გვიჩვენებენ, რომ სახელთა ფუნქციები ორი კატეგორიის – ‘დაწინაურება’ და ‘სუბიექტი/ობიექტი’ – თანაკვეთის შედეგად სტრუქტურულად გათანაბრდა, თუმცა ინფორმაცია მათი კატეგორიალური მნიშვნელობების შესახებ არ ქრება და ორივე კატეგორია, ‘S/O’ და ‘დაწინაურება’, ფორმალურად ერთმანეთისგან გამიჯნულია:

დაწინაურება – დაწინაურებული სახელის წინადადების საწყის პოზიციაში გადასმა; სახელთა არადიფერენცირებული მოდელების წარმოქმნა.

სუბიექტი – სუბიექტის მოთავსება ‘inna (ან მისი ჯგუფის ნაწილაკების) მომდევნო პოზიციაში.

ობიექტი – ობიექტის შესაბამისი ნაცვალსახელოვანი სუფიქსის (ზოგჯერ შესაბამის ნაწილაკთან ერთად) გაჩენა ობიექტის კანონიკურ პოზიციაში, ზმნის მომდევნოდ.

არაბულში სუბიექტისა და ობიექტის საინფორმაციო ნაკადში გამოკვეთა-დაწინაურების სხვადასხვა მოდელი არსებობს; კერძოდ, სუბიექტის დასაწინაურებლად, სიტყვათა არამარკირებული რიგის ცვლისას, ორი ძირითადი მოდელი გამოიყოფა, ხოლო ობიექტის დასაწინაურებლად – სამი. ეს გვიბიძგებს მოსაზრებისკენ, რომ საინფორმაციო ნაკადში პრაგმატიკული დაწინაურება შეიძლება განსხვავებული ხარისხით მიმდინარეობდეს და ეს მოდელებიც ამ განსხვავებულ ხარისხზე უნდა მიგვანიშნებდნენ შემდეგი კოგნიტიური ინტერპრეტაციით: რაც უფრო მეტია დაწინაურების ხარისხი (ანუ, კოგნიტიურად რაც უფრო მეტად ხდება ინფორმაციის გამოკვეთა-დაწინაურება), ენა ფორმალურადაც მით უფრო მეტად მარკირებულ, კომპლექსურ კონსტრუქციებს იყენებს.

ლიტერატურა:

- ასათიანი, რ. – Asatiani, R. (2007). The Main Devices of Foregrounding in the Information Structure of Georgian Sentences. In: Proceedings of the Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation 2005, ed. Balder David ten Cate and Henk Zeevat, 21-31, Springer
- გივონი, თ. – Givon, T. (1985). Iconicity, Isomorphism and Nonarbitrary Coding in Syntax. In: Iconicity in Syntax, ed. John Naima, 187-220, Amsterdam: John Benjamins
- გრანდე, ბ. მ. – Гранде, Б. М. (1963). Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, Москва: Изд-во восточной литературы
- ლეკიაშვილი, ალ. (1977). არაბული ენა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ფორდი, დ. – Ford D. C. The Influence of Word Order on Modern Arabic Information Structure, <https://www.diu.edu/documents/gjalens/Vo13-2/Ford-Info-Structure-and-Word-Order-MSA.pdf>

Linguistic structuring of reality based on the notions ‘same-different’ proceeds through ‘oppositions’. An opposition means that there are at least two items one of which is ‘marked’ and another is ‘unmarked’. Structuring of the information, its packaging, also proceeds through oppositions where one part of the information stands out against a background of the other part of information. From the communicational, pragmatic point of view, this information is highlighted, important and represents the foregrounding of a certain part of information. Any kind of **‘foregrounding’** (resp. ‘highlighting’, ‘logical emphasis’, ‘promotion’, ‘standing out as the first, important’, etc.) could be regarded as **one, common phenomenon** which represents the main strategy of linguistic structuring of information. From this point of view, Topic, Focus, Subject, Theme, Point of view and so on – are the same as far as they represent various forms of ‘foregrounding’.

Arabic is a language with relatively extensive case and agreement marking. Consequently, it allows for variations on its unmarked word order, which is SVO. In fact, all six permutations of the basic

sentence constituents Subject, Verb, and Object are documented in Arabic written or oral texts. Moreover, all ‘marked’ variations in word order relate to each other, as each one denotes some aspect of the information structure of the language, either topicalizing or focusing (resp. foregrounding in the common, wide sense) a constituent.

In Arabic, the definite morphosyntactic structures represent either Subject or Object foregrounding and the following cognitive processes can explain their appearance: depending on a specific situation, it becomes necessary to emphasize mainly unmarked Subject or marked O, to change their common prototype role and to assign to them a specific, peculiar character. This peculiarity – the cognitive markedness of these nouns – is represented on the grammatical level by the formal markedness (that is, by changing of their canonical cases): Subject appears in accusative instead of Nominative, whereas Object appears in Nominative instead of its canonical form – Accusative. As a result, undifferentiated constructions of nouns arise: in the case of foregrounding of the Subject, both S and O stand in the Accusative case, and in the case of foregrounding of the Object, both S and O appear in the Nominative case.

Examples:

kataba	rağulun	risālatan.
Wrote	man+NOM	letter+ACC

The man wrote a letter.

'inna	rağulan	kataba	risālatan.
PTC(indeed)	man+ACC	wrote	letter+ACC

Indeed, the man wrote a letter.

risālatun	kataba-ha	rağulun.
letter+NOM	wrote-it man+NOM	

The letter, the man wrote it.

The (1)-sentence shows unmarked word order, while (2)-example expresses Subject foregrounding and (3), consequently, Object foregrounding.

These structures reflect the following state of matters: as a result of the coincidence of the two categorical meanings (resp. S/O and Foregrounding), the functions of nouns have become equal, although the information about their categorical meanings is pre-

served and 'Syntactic Functions (resp. S and O)' and 'Foregrounding' both are formally distinguished:

FOREGROUNDING – fronting of foregrounded function in the verb prior position and rising of undifferentiated morphosyntactic patterns.

SUBJECT – fixation of its position after *'inna* (or the particles of its group).

OBJECT – the appearance of the respective pronoun suffix in the canonical position of the Object in a sentence.

There are several possibilities to express the foregrounding of main syntactic functions, and we assume that these specific constructions, organized hierarchically, reflect the different degrees of foregrounding and can be clarified employing the following cognitive interpretation: *the higher the complexity of formal devices the higher the degree of foregrounding.*

References:

- Asatiani, R. (2007). The Main Devices of Foregrounding in the Information Structure of Georgian Sentences. In: Proceedings of the Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation 2005, ed. Balder David ten Cate and Henk Zeevat, 21-31, Amsterdam: Springer
- Ford D. C. The Influence of Word Order on Modern Arabic Information Structure, <https://www.diu.edu/documents/gialens/Vo13-2/Ford-Info-Structure-and-Word-Order-MSA.pdf>
- Givon, T. (1985). Iconicity, Isomorphism and Nonarbitrary Coding in Syntax. In: Iconicity in Syntax, ed. John Naiman, 187-220, Amsterdam: John Benjamins
- Grande, B. M. (1963). *Kurs arabskoj grammatiki v sravnit'no-istoricheskom osveshenii*. [The Arabic grammar in the comparative-historical perspective], Moscow: Oriental Literature.
- Lekiasvili, Al. (1977) *Arabuli ena*. [The Arabic language], Tbilisi: TSU Publishing House.

ჰიდრონიმი „ბერდუჯი“
HYDRONYM “BERDUJI”

ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჰიდრონიმი, ისტორიული წყაროები,
ლინგვისტური კონტაქტები, ჰიდრონიმი, სუფიქსი
Keywords: Hydronym, Historical Sources, Languages in Contact, Hydronym,
Suffix